სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

# ბრძანება №1-44

გორი 01 09 2017წ.

**„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2017 წლის 19 ივლისის N1-36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2017 წლის 19 ივლისის N1-36 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტუდენტები, რომელთაც სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიიღეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის უფლება, ვალდებულნი არიან მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს განცხადებით 2017 წლის 23 აგვისტოდან - 2017 წლის 04 სექტემბრის ჩათვლით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული შემდეგი დოკუმენტები:

ა) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი;

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები;

2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველი სტუდენტები, უნივერსიტეტის მიერ მათი კრედიტების აღიარების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, არაუგვიანეს 2017 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით ვალდებულნი არიან განაცხადონ თანხმობა/უარი უნივერსიტეტში ჩარიცხვასთან დაკავშირებით;"

2. ეს ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი

საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი